ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - კონსტანტინე გელაშვილი

კოლეგიის წევრი - ეკატერინე გეწაძე

კოლეგიის წევრი - ეკატერინე მაჭარაშვილი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 29.09.23

შეკითხვის ავტორი - ადვოკატი /სიითი №/

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 008/23

I. შეკითხვა

საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში ადვოკატი კლიენტს შეუთანხმდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, სამივე ინსტანციაში წარმოადგენდა მის ინტერესებს. ჰონორარად განისაზღვრა X ლარი. ხელშეკრულების თანახმად, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარის ინიციატივით შეწყდება ხელშეკრულება, ადვოკატი ვალდებულია კლიენტს დაუბრუნოს გამოუმუშავებელი ჰონორარი. ამავე ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქმე მორიგებით დასრულდება (ნებისმიერ ეტაპზე) ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურება ჩაითვლება შესრულებულად და თანხა უკან არ ბრუნდება.

შეესაბამება თუ არა აღნიშნული დათქმა ეთიკურ სტანდარტებს? ხომ არ ირღვევა ადვოკატის მხრიდან ფიდუციური ვალდებულებები?

II. ანალიზი

ეთიკის კომისიამ ადვოკატის შეკითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური ფაქტები განიხილა, ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით.

სსკ-ის 90-ე მუხლის მიხედვით: „პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა – ამ მოვლენის დადგომისთანავე“. მოცემულ შემთხვევაში, მხარეებს შორის დავის მორიგებით დასრულების შემთხვევაში, კლიენტის მიერ გადახდილი ჰონორარის სრული ოდენობით დატოვების თაობაზე შეთანხმება წარმოადგენს პირობით გარიგებას.

საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადება ხელშეკრულების თავისუფლების პირინციპის შესაბამისად უნდა განხორციელდეს. ხელშეკრულება კი დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით (სსკ-ის 327-ე მუხლი (I)). მათ შორის, მნიშვნელოვანია ჰონორარის ოდენობასა და გადახდის წესზე შეთანხმება ადვოკატ-კლიენტის შემდგომი ურთიერთობისათვის. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, „ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის“.

ადვოკატი უნდა ცდილობდეს მიაღწიოს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება ან დავის ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.11 მუხლი).

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 3.4.1 მუხლი მიხედვით: „ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი სრულად უნდა გაუმჟღავნდეს კლიენტს და უნდა იყოს სამართლიანი და ზომიერი“.

მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, განსახილველია ორი შემთხვევა - ხელშეკრულებაში მითითება იმის თაობაზე, რომ ადვოკატი სამივე ინსტანციის სასამართლოში გაუწევს მომსახურებას კლიენტს და დაიცავს მის ინტერესებს, შეესაბამება თუ არა ეთიკურ სტანდარტებს და ხომ არ არღვევს ფიდუციურ ვალდებულებებს ადვოკატის მიერ სრული ჰონორარის აღება საქმის მორიგებით დასრულებასთან.

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე №027/10 აღნიშნა: „საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდის გრაფიკისა და სხვა დამატებითი პირობების თაობაზე. შესაბამისად, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია კლიენტისათვის ადვოკატის მიერ მთელი საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში, რათა შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი გაკონტროლება“.

კლიენტთან ადვოკატის ურთიერთობა უნდა იყოს დაფუძნებული იმ სახელმძღვანელო და ფუნდამენტურ პრინციპებზე, რასაც განსაზღვრავს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. ადვოკატის საქმიანობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტია კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობა. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის თანახმად, კლიენტთან ურთიერთობის დროს, როდესაც ადვოკატი იცავს კლიენტის ინტერესებს, მან საფუძვლიანად, დეტალურად უნდა შეისწავლოს საქმის გარემოებები და ამ გარემოებებიდან გამომდინარე შეეცადოს, რომ კლიენტისთვის საქმე დასრულდეს მინიმალური დანახარჯებით, ასევე გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის მთავარ პრინციპად უნდა იყენებდეს „კლიენტის უპირატესობის“ პრინციპს, მან კლიენტს, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება ან დავის ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტა, თუ ეს ემსახურება და შეესაბამება კლიენტის ინტერესებს.

კონკრეტულ შემთხვევაში, კითხვაში აღწერილი ფაქტების გათვალისწინებით, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ არ არის რეკომენდირებული ხელშეკრულებაში მითითება იმის თაობაზე, რომ ადვოკატი სამივე ინსტანციის სასამართლოში გაუწევს მომსახურებას კლიენტს და დაიცავს მის ინტერესებს, რადგანაც შეუძლებელია წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რა ოდენობის მოცულობის მომსახურება იქნება გაწეული. ასევე დასადგენია ხელშეკრულების კონკრეტული სპეციფიკა, კერძოდ კი, ხომ არ იგულისხმება, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რომ საადვოკატო მომსახურება ითვალისწინებს პირველ ინსტანციაზე მომსახურეობის გაწევას კონკრეტული ფულადი ანაზღაურებით და საჭიროების შემთხვევაში დამატებით ფულად ანაზღაურებას, რადგანაც თუ ასეთი ასპექტი გათვალისწინებული არ არის, მაშინ გამოუმუშავებელი ჰონორარი უნდა დაუბრუნდეს კლიენტს და დამოკიდებულია ადვოკატის შეფასებაზე, თუ რა ოდენობის თანხა გამოიმუშავა. საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, მთელ რიგ შემთხვევებში, საქმის მორიგებით დასრულება უფრო შრომატევადი პროცესია, ვიდრე სხდომებზე დასწრება და საქმის სასამართლო გადაწყვეტილებით დასრულება. ასევე საქმის მორიგებით დასრულების შემთხვევაში დაცულია მხარის ინტერესები, რადგანაც მხარე იღებს მისთვის სასურველ შედეგს მოკლე დროში და ნაკლები ფინანსური დანახარჯებით. ასევე თუ გავითვალისწინებთ საქმის მორიგებით დასრულების შემთხვევაში ჰონორარის სრულად დატოვების პუნქტს, შეიძლება ვივარაუდოთ რომ კლიენტი და ადვოკატი შეთანხმდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოში მომსახურებაზე ჰონორარის სანაცვლოდ, ხოლო დანარჩენ ინსტანციებში - უფასოდ. იმ შემთხვევაში თუ ადგილი აქვს ასეთ შეთანხმებას, ეს არ მიიჩნევა ეთიკური ვალდებულებების დარღვევად.

III. დასკვნა:

ადვოკატის მიერ ჰონორარის მოცულობის სრულად დაკავშირება საქმის მორიგებით დასრულებასთან, არ მოდის წინააღმდეგობაში „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს

კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკით გათვალისწინებულ ეთიკურ ვალდებულებებთან და წარმოადგენს მხარეთა ორმხრივი ნებით რეგულირებულ საკითხს.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/